ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 147

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან-საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის 2022 წლის 17 თებერვლის №44–4422048324 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქართული სპორტის, კერძოდ, ძიუდოს განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქართველ სპორტსმენს, ოლიმპიურ ჩემპიონს, დავით ხახალეიშვილს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩისა და სულხან–საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. №---
10 12 2022